



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
2021 წლის 17 მაისის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Zoom პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დისტანციურ სხდომაში (Zoom პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ბექა ჯანელიძის, გაგი ჩოხელის, დიმიტრი ვარდიაშვილის, თამარ ასათიანის, ია თოფურიას, შოთა ჩხეიძის, შოთა ქადარიას, ადა სამყურაშვილის, გურამ ბარნაბიშვილის, გიორგი მახარაძის, თეა სიჭინავას, ნანა მგელაძის, ქრისტინე ძოწენიძის, თორნიკე ჩხიკვაძის, ბექა შაყულაშვილის, ნიკა ბილიაშვილის, ლევან მახათაძის, ნინო ლემონჯავას, ლევან ოსაძის, დავით გორგილაძის, თამარ კუდუხაშვილის, ირმა აბაშიძის, ირაკლი მხეიძის, შალვა ბუავეას, ნინო გობაძის, ნატა ხუციშვილის, ნანული ქიმაძის და გვანცა კახიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ბექა ჯანელიძის, გაგი ჩოხელის, დიმიტრი ვარდიაშვილის, თამარ ასათიანის, ია თოფურიას, შოთა ჩხეიძის, შოთა ქადარიას, ადა სამყურაშვილის,

გურამ ბარნაბიშვილის, გიორგი მახარაძის, თეა სიჭინავას, ნანა მგელაძის, ქრისტინე მოწინიძის, თორნიკე ჩხიკვაძის, ბექა შაყულაშვილის, ნიკა ბილიაშვილის, ლევან მახათაძის, ნინო ლემონჯავას, ლევან ოსაძის, დავით გორგილაძის, თამარ კუდუხაშვილის, ირმა აბაშიძის, ირაკლი მხეიძის, შალვა ბუაფას, ნინო გობაძის, ნატა ხუციშვილის, ნანული ქიმაძის და გვანცა კახიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

(ა) წევრები გაეცნენ კახაბერ არაბიძის, სოფიო ქანთარას, ლელა ფხაკაძის, მანანა გრიგოლიას, ნიკოლოზ კვანტრიშვილის, მაია ქერდიყოშვილის და ვაჟა ნებიერიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს კახაბერ არაბიძის, სოფიო ქანთარას, ლელა ფხაკაძის, მანანა გრიგოლიას, ნიკოლოზ კვანტრიშვილის, მაია ქერდიყოშვილის და ვაჟა ნებიერიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მერი ჯაფარიძის და საწევრო დავალიანების მქონე წევრების - გიორგი ცისკაძის, გვანცა მოღებაძის, თეო კვირიკაშვილის, ლანა გოგას, ალა კეიდიას, გივი პაპუაშვილის, იური მაჭარაშვილის და ლია ახალკაცის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2021 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი

განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - გიორგი ცისკაძეს, გვანცა მოდებაძეს, თეო კვირიკაშვილს, ლანა გოგიას, ალა კვიციას, გივი პაპუაშვილს, იური მაჭარაშვილს და ღია ახალკაცს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საკითხის განხილვა

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2021 წლის 17 მაისის მდგომარეობით, 2021 წლის საწევრო დავალიანება უფიქსირდება ასოციაციის 2153 წევრს.

ასოციაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ასოციაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და სწორი ფინანსური პოლიტიკის გატარებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ასოციაცია ახორციელებს მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს და ასევე, საჭიროა ფინანსური რესურსების მობილიზება, 2021 საარჩევნო წლის საერთო კრებების სათანადოდ ორგანიზება/ჩატარებისთვის და ასოციაციის ყველა შესაბამისი მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის, მიზანშეწონილია,

ადმინისტრაციული წარმოების დაწყება 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და გაეცნენ 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სიას. მსჯელობის შედეგად, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) 2021 წლის 18 მაისიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11, ტელეფონი: 032 2 98 78 78;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 18 მაისი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge და ამასთან, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენისბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 1-ლი ივნისი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების

საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 18 ივნისი.

(ი) 2021 წლის 18 მაისის 14 საათამდე, დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

საკითხი 5. საწევრო დავალიანების გადავადების/გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ საწევრო დავალიანების გადავადების/გათავისუფლების შესახებ განცხადებებს.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებები განეხილათ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოსაზრებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდგომ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების/გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოსაზრებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდგომ.

საკითხი 6. საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის და თანა-თავმჯდომარის დამტკიცება.

აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფი.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულიყო აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატორი - ადვოკატი გიორგი კვაშილავა, ხოლო თანა-თავმჯდომარედ ამავე სამუშაო ჯგუფის წევრი - ადვოკატი თამარ ბერძნიშვილი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფის 4.2 მუხლის თანახმად, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს გიორგი კვაშილავა, ხოლო თანა-თავმჯდომარედ თამარ ბერძნიშვილი.

საკითხი 7. ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის განცხადების განხილვა, აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

წევრები გაეცნენ „ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილ განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება

თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 6: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციციო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი. წინააღმდეგი 1: მამუკა ნოზაძე) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს „სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 8. ელენე ჩორგოლაშვილის განცხადება ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ელენე ჩორგოლაშვილის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით, ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ელენე ჩორგოლაშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ელენე ჩორგოლაშვილის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტში წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 9. სხვადასხვა.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა, წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში განსაზღვრული სავალდებულო 2 კრედიტ საათი, რომელიც მოიცავს პროფესიული ეთიკის სავალდებულო მოდულს, დღეის მდგომარეობით დააგროვა 2690-მა ადვოკატმა.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა განმარტა, რომ ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარების ფონზე, ასოციაციის წევრების გარკვეული ნაწილისთვის, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების თუ პირობების არქონის გამო, არ იყო ხელმისაწვდომი ასოციაციის მიერ ორგანიზებული, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე ტრენინგები, მათ შორის პროფესიული ეთიკის სავალდებულო მოდული. შესაბამისად მიზანშეწონილია, რომ ადვოკატები რომლებმაც ვერ შეძლეს სავალდებულო 2 კრედიტ საათის დაგროვება, გათავისუფლდნენ აღნიშნული ვალდებულებისგან.

აღნიშნული საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატები, რომლებმაც ვერ დააგროვეს 2020 წლის სავალდებულო 2 კრედიტ საათი, რომელიც მოიცავს პროფესიული ეთიკის სავალდებულო მოდულს, გათავისუფლდნენ სავალდებულო 2 კრედიტ საათის დაგროვების ვალდებულებისგან.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე